ბრძოლებარიზო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

სსრ. ა. ა. ყ. (რ) სსრ და ცკ. კომპარტიის და სსრ. ხალ. კომის ორგანო

ტელეფონები: ოფ. რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—22—15, სამდივნო—10—58, მა. კორექტორის—8—96

კვირა. 22 აპრილი 1934 წ. № 94 (3950)

მტკიცე ხელმძღვანელობა სესხის რეალიზაციას სოფლად

პარტიის მე-17 ყრილობის გადაწყვეტილებათა ხორცშესხმისათვის ბრძოლა ბრძანების შესახებ

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ ზოგიერთ მხარეებსა და ოლქებში მე-17 ყრილობის გადაწყვეტილებათა ღრმად შესწავლას ცვლის გარეგნული ხმაურით და ცალკეულ დებულებათა ფორმალურად დაზეპირებით. სერიოზულ სწავლებას სცვლიან სახპორტო აზარტით, „პოლიტომების", „პოლიტ-თავდასხმის", „პოლიტეჭტორინგების", „პოლიტლატარიების", „პოლიტანკესების" და სხვ. ორგანიზაციით. „პოლიტომების" ჩასატარებლად ვრცელდება სტანდარტული კითხვები, ხშირად სრულიად უვიცად შედგენილი, რომლებსაც უშვებენ „პარტკაბინეტებში" კულტპროპების და პარტკომების მიერ გადაუთვალიერებლად და დაუმტკიცებლად. პარტიელებს აჩვევენ მისცენ შაბლონური პასუხები წინასწარ გავრცელებულ ძაბლონურ კითხვებზე, ხოლო კულტაოოპები, რომლებიც ვალდებული არიან კონტროლი გაუწიონ ამ საქმეს, განზე დგანან.

ამით ხდება პარტიის მე-17 ყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლის ცოცხალი ბოლშევიკური საქმის გავულგარება და იგი იქცევა მკვდარ სქოლასტიკად, უშინაარსო ლაყბობად.

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

1. წინა ხელმძღვანელობის პარტორგანიზაციებს დაუყოვნებლივ აღმოფხვრან ზემოთ აღნიშნული დამახინჯებანი და მოსპონ „პოლიტომების", „პოლიტლატარიების", „პოლიტანკესების" და პროპაგანდის სხვა ფორმების გატარება, რომლებიც უჩვეულოდ ბოლშევიზმისათვის.

2. დაევალოს კომინიას ამ. წლ. ივნისის პარტორგანიზაციებს **სტეციას, მეწერხას, კოგანის, როდიონოვის, კილეროგის და ბულინის შემადგენლობით, სხდომაზე მომხდარ აზრთა გაცვლა - გამოკვლევის გათვალისწინებით, 10 დღის ვადაში წარმოადგინოს პრაქტიკული წინადადებანი, პარტიის მე-17 ყრილობის გადაწყვეტილებათა დამუშავებასთან დაკავშირებით პოლიტხუმვლების ფორმების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა წესით უნდა ჩატარდეს პარტპოლიტმინიმუმი პარტიის წევრების, კანდიდატებისა და თანამგრძნობებისათვის, მათი განვითარების დონესთან და თეორიულ მომზადებასთან შეფარდებით.**

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი.

ჩაის მოსავალი ავიღოთ დროზე და უდანაკარგოდ

უკანასკნელ წლების განმავლობაში ჩაის მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა ჩაის კულტურის გაშენების, მოსაკალიანობის გადიდების და ჩაის წარმოების ტექნოლოგიური პროცესების დაუფლების საქმეში. 1932 და 1933 წლებში ახალი პლანტაციები გაშენდა 18.951 ჰექტარზე, ეს მთელი ჩაის ფართობის დაახლოებით 70 პროც. შეადგენს. გარდა ამისა ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში რემონტი გაუკეთდა და აღდგენილ იქნა ჩაის პლანტაცია 7.215 ჰექტარზე. 1933 წლისათვის ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლიანობამ საშუალოდ ერთ ჰექტარზე 1932 წლის 701 კილოგრამიდან გაიზარდა 803 კილოგრამამდე. ჩაის კულტურის შემდგომი გაშენება საქართველოში უზრუნველყოფილია საკუთარი თესლით და შეუყვანელია თესლის შემოტანა საზღვარგარეთიდან. მიმდინარე წელს საქართველოში იმუშავებს ჩაის 21 ფაბრიკა (წარსულ მუშაობდა 14). ჩვენი მოწინავე ჩაის ფაბრიკებს (ჩაქვი, სალიბაური, აკანა) გამომუშავებული პროდუქცია არაფერით არ ჩამოუვარდება და მთელ რიგ მაჩვენებლებში ჯობს კიდეც საზღვარგარეთის ჩაის მოწინავე ფირმების პროდუქციას.

ეს იმას მოწმობს, რომ ჩაის კულტურამ ჩვენში საკმაოდ **გაამართლა** თავისი თავი და გადაიქცა სოფლის მეურნეობის წამყვან დარგად და-სავლეთ საქართველოში. ჩაის პლანტაციების მოვლის, დამუშავების და ჭა-ბა პროდუქციის გამოშვების კიდევ მეტი შესაძლებლობა გვაქვს ჩვენ. დასახულია ამოცანად, რომ **1935 წლის დასასრულისათვის ჩაის მოხვალეობა გადიდებული იქნას ერთი ორად** ეს ამოცანა საკმაოდ **რეალურია** და იგი მიღწეული იქნება.

ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ უკანა მკვიდრი **„საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა კავშირის დამოუკიდებლობას საზღვარგარეთისაგან ჩაის წარმოების საქმეში"** (საკ. კ.პ. (ბ) კომის დადგენილებიდან).

ახლა ჩაის რაიონების პარტიულ, საბჭოთა ორგანიზაციების და სამეურნეო-სატრაქტორო სადგურთა პოლიტგანყოფილებათა ერთგვარ ყურადღებათა ცენტრში ამ მიღწევების ყოველმხრივ განმტკიცებასთან ერთად დგას უაღრესად საბრძოლო მნიშვნელობის ამოცანა, — **ჩაის პლანტაციების 1934 წლის მოსავლის აღება დროზე, უდანაკარგოდ და ხარისხობრივი მაჩვენებლების მტკიცედ დაცვით.**

1934 წლის განმავლობაში ჩაის ძირითადი ფოთოლი აღებული უნდა იქნას 6.074 ათასი კილოგრამის რაოდენობით: აქედან საბჭოთა მეურნეობებმა უნდა აიღონ 1.079 ათასი კილოგრამი. საკოლმეურნეო და ერთპიროვნულ გლეხურ სექტორში აღებული უნდა იქნას 4.874 ათასი კილოგრამი. გასული წლის 803 კილოგრამის ნაცვლად ერთ ჰექტარზე საკოლმეურნეო გლეხურ სექტორში წელს უნდა აიღოს 1.050 კილოგრამი მწვანე ფოთოლი, საბჭოთა მეურნეობებმა (ნარაზენის საბჭოთა მეურნეობის გამოკლებით) 1200 კილოგრამი და ჩაის საგამოკვლევო საცდელი მეურნეო ინსტიტუტის მეურნეობებმა 1500 კილოგრამი. ამას თანავე ჩაის მოსავლის აღება ჩატარებული უნდა იქნეს ისე, რომ **მთელი მოსავლის არა ნაკლებ 90 პროცენტს შეადგენდეს პირველი ხარისხის მწვანე ფოთოლი.**

ამ საბრძოლო დავალებათა შესრულება მოითხოვს ჩაის რაიონების პარტიულ, საბჭოთა, საკოლმეურნეო ორგანიზაციების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურთა პოლიტგანყოფილებათა ერთგვარულ მუშაობას. ზემოაღნიშნულ სამუშაოების უზრუნველყოფის კოკხალ, ოპერატიულ ხელმძღვანელობით, კოლმეურნეთა მასების, საბჭოთა მეურნეობების მუშების და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა მჭიდროდ დარაზმას ჩაის **მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის.**

წელს, წინა წლებისაგან განსხვავებით, ჩაის კრეფა იწყებოდეს **განსწყვეტლივ, მთელი სეზონის განმავლობაში.** ეს კი მოითხოვს კოლმეურნეთა მუშა-ხელის და ჩაის რაიონების მთელი შრომის უნარიანი მოსახლეობის მაქსიმალური დატვირთვით გამოყენებას.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჰალოსტკურაგინის კოლმეურნეთა ბრიგადირების გამოკვლიების მზგავსად სოციალისტური შეჯიბრების გაშლას ჩაის კოლმეურნეობათა ბრიგადირებს შორის. ამ სოციალისტური შეჯიბრების ძირითადი მიზნები უნდა იყოს: ჭალთა და მთაზარდთა შრომის ეფექტიურად გამოყენება, ზარმაცობისა და სამუშაო დღის გაცდენების აღმოფხვრა, გამომუშავების ნორმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება, დანაკარგებთან ბრძოლა და ჩაის ფოთლის კრეფის ხარისხის დაცვა.

ჩაის ფოთლის დანაკარგებთან ბრძოლისათვის უსათუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს მწვანე ფოთლის მიმღები პუნქტების მოწერილობულად მოწყობას და ამ პუნქტების სათავეში ჩაის საქმის **მცოდნე** პირების დაყენებას. საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ ჩაის თითეული პლანტაცია ბრიგადირებული იყოს გარკვეულ მიმღებ პუნქტზე, ჩაის ფაბრიკაზე და ამის შესახებ იკოდნენ კოლმეურნეობებმა და ერთპიროვნულ მეურნეობებმა სანამ კრეფა დაწყებოდეს.

გასულ წელს ტრანსპორტის მოუგვარებლობის გამო იყო ჩაის მწვანე ფოთლის ჩახარკვის და გაფუჭების მრავალი შემთხვევა. ეს რომ წელს არ განმეორდეს, აუცილებელია რათა ჩაის ფაბრიკებმა, სრულ წესრიგში მოიყვანონ თავიანთი ავტოტრანსპორტი და ჭაპანზიდის ყველა საშუალებანი. გარდა ამისა საჭირო იქნება წინასწარი სათანადო ხელშეკრულებების დადების საფუძველზე კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა საჭაპანო ტრანსპორტის გამოყენება.

დანაკარგებთან ნაყოფიერი ბრძოლა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ჩაის მკრეფავები იქნებიან მწვანე ფოთლის კრეფის წესებზის ით გადაზიდის წესებს. ამის გამო გეგმების დაყვანის დროს საწარმოო თათბირებზე, ჟურნალ-ფერენციებზე და მკრეფავთა შეკრებებზე უნდა მოეწყოს ჩაის კრეფის ინსტრუქციების და ა**ტრ**ნწესების გულდასმით დამუშავება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საბჭოთა მეურნეობების იმ მუშების და კოლმეურნეების გამოვლინებას, დაჯილდოებას და წახალისებას, რომელნიც ჩაის მოსავლის აღებასთან დაკავშირებით დამკვრელური მუშაობის ნიმუშებს გვიჩვენებენ.

დასასრულ ჩაის **ფაბრიკების მუშაობის შესახებ.** ჩვენს ჩაის ფაბრიკებს, რომელნიც მოწყობილნი არიან ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით, აქვთ ყველა საშუალება ნედლი ჩაის გადამუშავების მაღალი მაჩვენებლები მოგვცენ. როგორც ვასულ წლების გამოკვლევებიდან ვიცით ეს შესაძლებლობანი დღემდე ვერ გამოიყენეს ზოგიერთმა ფაბრიკებმა. არის ჩაის ფაბრიკები, სადაც ჯერ კიდევ დიდია დანაკარგები. დაბალია გამოშვებული მზა ჩაის ხარისხი. ამის, ბოლო უნდა მოეღოს, ჩაის ფაბრიკები ყოველ მხრივ მომზადებულნი უნდა შეხვდენ ახალი მოსავლის მწვანე ფოთლის მიღებას და უზრუნველჰყონ როგორც მისი შეუფერხებელი გადამუშავება, ისე მზა ჩაის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესება.

„საქართველოს ჩაის" და მიწსახკომის ყოველმხრივ უნდა გაძლიერონ ადგილებისადმი კონკრეტული ხელმძღვანელობა და დახმარება, მხარდაჭერა უყონ თავიანთ მუშაკებს, განსაკუთრებით აგრონომიურ და გადაჭრილონ ისინი ჩაის საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობათა დახმარების აღმოსაჩენად. ჩაის გეგმების შესრულებაში და პირველ რიგში ჩაის მოსავლის უდანაკარგოდ აღების მაჩვენებლები მიხედვით შეაფასებს პარტიის რაიონების პარტორგანიზაციების მუშაობას.

ხმა მაღაროს ლავიდან

(ჭიათურა, „კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტისაგან)

№ 71 ლავი. დამკვრელთა წერაქვების მადანთან ბრძოლის ხმა ყრუდ ეცემა მაღაროს.

ის იყო, **ნიკიფორე ლაბაძემ** ზედიზედ მიუნაცვლა წერაქვი მარგანეცის მაგარ ფენას, რომ ამხანაგების ნაცნობი ხმა მოესმა. მას ერთბაშად ეუცხოვა ასეთ დროს ამხანაგების მოსვლა, მაგრამ მალე მოაგონდა, რომ ორი დღის წინად მან ასეულ მუშებთან ერთად, მაგნიტოგორსკის დამკვრელთა მიმართვის საპასუხოდ, თხოვა მთავრობას სესხის გამოშვება. ნიკიფორე მიხვდა, რომ ახლად მისულმა ამხანაგებმა მოიტანეს ცნობა ახალი სესხის გამოშვების შესახებ.

— ჩვენ ლავას არაფინ არ უნდა გაუსწროს. მომაწოდე ჭიქალდი, — ამბობს ამხ. ლაბაძე და ხელს აწერს ერთი თვის ხელფასით.

— ჩვენც თქვენთან ვართ ამხანაგებო, ჩვენც თითო ოფურს მივატანთ სოციალისტურ მშენებლობაზე, აცხადებენ მგრეველი მუშები ვასილ **მეგრელიშვილი, შ. სამხარაძე** და სხვები, რომლებიც იქვე აწერენ სესხზე ხელს.

ამხანაგებმა მეზობელი ლავებიც. საყელავი მანჭახების ხმაურს მაღაროელთა ერთსულოვნება შეუერთდა.

— მეტი სესხი, მეტი მარგანეცი სახელმწიფოს. 60 ათას მანეთიან ხელმოწერასთან ერთად, ბრიგადას ათი ვაგონი მარგანეციც გავატანოთ, — აცხადებენ მგრეველები.

მარგანეცით სავსე ეკაგონები, სესხზე ხელის მოწერის ჩამტარებელმა ბრიგადამ გამოაცურა მაღაროს პირთან.

***

19 აპრილისათვის პეოევის შავი ქვის მაღაროებში სესხზე მოწერილი ჰქონდა ხელი 447 კაცს 60.200 მანეთის რაოდენობით. ხელმოსაწერი დარჩენ მხოლოდ ისინი, რომლებიც ამ დღეებში შვებულებაში იყვნენ ან სხვადასხვა საპატიო მიზეზებით სამუშაოზე ვერ გამოვიდნენ. ამხანაგებმა მათაც შეუთვალეს ეცნობებიათ, თუ რა მონაწილეობას მიიღებდნენ ახალ სესხში.

ს. ფალავანდიშვილი.

სესხი და საუკეთესო ცენტი სოციალისტურ მეურნეობას

(კასპის რაიონი)

კასპის ცენტის ქარხნის მუშა მოსამსახურეთა კოლექტივმა, რომელიც 650 კაცისაგან შედგება, მეორე ხუთწლედის მეორე წლის სესხის გამოშვებას პროლეტარული ერთსულოვნებით უპასუხა.

მაგნიტოგორსკელ დამკვრელი მუშების მიმართვა და მთავრობის დადგენილება სესხის გამოშვების შესახებ დამუშავებულ იქნა ცალკე ცვლებში და საამქროებში. მუშებმა ერთსულოვნად დაადგინეს ხელი მოაწერონ სესხზე ერთი თვის ხელფასის ოდენობით და მუშა-მოსამსახურეებმა 53.400 მან. სტრამის კრის ქარხნის მუშებმა დაადგინეს ხელი მოაწერონ ასეთ სესხზე ერთი თვის ხელფასის ოდენობით.

ტფილისის სახპოს მუშა-მოსამსახურეებმა სესხზე ხელი მოაწერა 15 აპრილისდე **დაამთავრეს.** 545 მუშა-მოსამსახურემ ხელი მოაწერა 150.665 მანეთზე, რაც მათი ერთი თვის ხელფასის ფონდს 9070 მანეთით აღემატება.

ტრესტ **„მკერავთა კოოპუნას"** წევრებმა 224 კაცმა ხელმოწერა ჩაატარა 40185 მანეთზე. ხელმოსაწერელი დარჩა 15 კაცი, რომლებიც შვებულებაში იმყოფებიან.

სტალინის სახ. სასოფლო-სამ. უმაღლესი კომუნისტური სკოლის სტუდენტებმა, პროფესორებმა, მასწავლებლებმა და მუშა-მოსამსახურეებმა ხელი მოაწერეს სესხზე — 127705 მანეთის რაოდენობით.

ტფილისის ავტო-სავაჭრო ტექნიკუმის სტუდენტებმა და პედაგოგებმა დაადგინეს ხელი მოაწერონ ახალ სესხზე ერთი თვის ხელფასის რაოდენობით, რაც 21246 მანეთს შეადგენს. ხელმოწერა უკვე გაფორმებულია.

ავჭალის სახ. [illegible] მოსამსახურეების ხელმოწერა ახალ სესხზე ჩატარებულია 6100-ით დეკემბრით.

მეორე ხუთწლედის მეორე წლის სესხის ობლიგაციის ნიმუში

ერთგული ბიბლიოთეკა

სესხზე ხელმოწერა გაქოში

სესხის რეალიზაცია ბაქოში უდიდესი აღფრთოვანებით მიმდინარეობს. **20 აპრილისათვის ბაქოს ორგანიზებულ სექტორში ხელმოწერა ჩატარებულია 31 მილიონ 335 ათას მანეთზე;— სესხზე ხელისმოწერაში ჩაბმულია მუშრომელთა 95,5 პროცენტი.** რემედასის აქტივი წარმატებით ატარებს ხელისმოწერას არაორგანიზებულ სექტორში; რესპუბლიკის 15 რაიონში ორგანიზებული სექტორის ხაზით ხელმოწერა სესხზე დამთავრებულია. უდიდესი ენთუზიაზმით ჩაღდება ხელისმოწერა კოლმეურნეთა შორის, რომლებიც ხელს აწერენ რა სესხზე, კისრულობენ ვალდებულებას გადაჭარბებით შეასრულონ დავალება ბამბის თესვ ს დარგში. განჯის, შამქორის და ნუხის რაიონში არის შემთხვევები, როცა კოლმეურნეები, სესხზე ხელის მოწერის დაწყების შესახებ, ცნობის მიღებისთანავე, თითონ მოდიოდენ სოფლის საბჭოებში და მოითხოვდენ ხელისმოწერის დაუყოვნებლივ მოწყობას. დღეს მთელმა რიგმა მოწინავე საწარმოებმა საშეფო კოლმეურნეობებში გაგზავნეს საუკეთესო დამკვრელებისაგან შემდგარი ათი ბრიგადა.

„კომუნისტის" (თურძ.) რედაქცია.

სესხზე ხელის მოწერა დაამთავრეს

ფოთი, 19 აპრილი. მაგნიტოგორსკის დამკვრელ მუშათა მიმართვას და მთავრობის დადგენილებას მეორე ხუთწლედის მეორე წლის სესხის გამოშვების შესახებ ფოთის რაიონის [illegible] მასები ერთსულოვნად გამოეხმაურენ და ორგანიზებულად შეუდგნენ ხელმოწერის ჩატარებას.

19 აპრილ [illegible] ღამოსათვის ხელმოწერა ახალ სესხზე ძირითადად დამთავრებული იყო. ხელმოწერილი თანხის ჯამი 691.000 მანეთს უდრის. ხელმოსაწერი დარჩენ შვებულებაში და ივლინებაში მყოფი მუშა-მოსამსახურეები, რომელთა შორისაც ხელმოწერა გრძელდება.

გრძელდება აგრეთვე ობლიგაციების ნაღდ ანგარიშზე გავრცელება ერთპიროვნულ მეურნეთა შორის.

საკ. კ.პ. (ბ) საქალაქო კომიტეტის მდივანი მალანია.

ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე ფაჩულია.

—:—

ზუგდიდი, 19 აპრილი. ზუგდიდის რაიონის მუშა - მოსამსახურეებმა პირნათლად შეასრულეს მაგნიტოგორსკელ დამკვრელთა მიმართვის საპასუხოდ ნაკისრი ვალდებულებები. **ახლა** – განმარტებითი მუშაობის ფართოდ გაშლით და ნებაყოფლობის პრინციპის **დაცვით 5 დღეში დაამთავრეს ხელმოწერა.** 19 აპრილის საღამოსთვის მეორე ხუთწლედის მეორე წლის სესხზე ელი მოწერილი ჯამით 3867 მუშა - მოსამსახურეს 512.800 მანეთის რაოდენობით.

ხელმოწერის საერთო ჯამი რაიონში 549.200 მან. შეადგენს. ხელმოწერა კოლმეურნეობებში და ობლიგაციების ნაღდ ანგარიშზე გავრცელება გაცხოველებით მიმდინარეობს.

პარტარაიკომის მდივანი გვასალია.

რაიაღმასკომის თავმჯდომარე როგავა.

საბჭოთა კავშირის გმირების დეპეშა

ელვა უელენიდან—21 აპრილი 1934 წ.

მოსკოვი, ამხ. სტალინს, მოლოტოვს, ვოროშილოვს, კუიბიშევს, ორჯონიკიძეს.

ბედნიერება გვაქვს გაცნობოთ, რომ მთავრდება ვანკარემიდან უელენში გადარჩენილ ჩელუსკინელთა გადაყვანის უძნელესი ეტაპი. მხურვალე საპასუხო სალამს ვუძღვნით პარტიის და საბჭოთა ქვეყნის ბელადს ამხ. სტალინს, ამხ. მოლოტოვს, ვოროშილოვს, კუიბიშევს, ორჯონიკიძეს, აგრეთვე გორკის ლიტერატურის მოამაგეთა მადლიერ შეფასებისათვის.

გულით და სულით მოხარული ვართ, რომ შევძელით ამოცანის შესრულება, თქვენი იმედების, პარტიის და მთელი ქვეყნის ნდობის გამართლება თვითმფრინავებით, რომლებზეც ყველაფერი, უკანასკნელ მავთულამდე, გაკეთებულია ჩვენს ღვიძლ საბჭოთა ქარხნებში, რეკორდული ვადის და დაბალი ტემპერატურის პირობებში ჩვენს სამშობლოში ჭარხლეულის პოლეტარიატის ხელით, რომლის შვილთა სახელსაც ჩვენ ვატარებთ.

ნება გვეძლეთ, თქვენი სახით ხალხსა მივცეთ ბოშევიკების პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს და საბჭოთა მთავრობას, რომ ჩვენ მთელ ჩვენს სიცოცხლეს უკანასკნელ წუთებამდე მოვახმართ სოციალიზმის მშვიდობიანი მშენებლობის დიად და საუცხოო საქმეს და თუ საჭირო იქნება სამშობლოს ყოველგვარი მტრისაგან, რომელიც გაბედავს შემოსხრომოდ თავისი ღირსეული დინჯი საბჭოთა მოსტაფით.

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან ბოლშევიკურ პარტიას, მის ბრძნეულ შტაბს—ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს საბჭოთა ქვეყანას, მის მთავრობას, მის გმირულ მუშათა კლასს და კოლმეურნეებს.

მოლოტოვი, კამანინი, ვოროშილოვი, ლვი, ორჯონიკიძე, ლიაპიდევსკი, ლევანევსკი.

პოლარული ლაშქრობის სამახსოვრო მონუმენტის აგება

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

„ჩელუსკინის" 1933-1934 წლის პოლარული ლაშქრობის, რაც მიმდინარეობდა უაღრესად ძნელ პირობებში ყინულოვან ოკეანეზე ყინულებში და დამთავრდა 1934 წლის 13 თებერვალს გემ „ჩელუსკინის" ყინულებით გასრესისა და გემის დაღუპვით, შემდეგ ორი თვის განმავლობაში ლაშქრობის მონაწილეების ცხოვრებაზე „მშიდის ბანაკში" მამაცურად ყოფნის, ეშპედიციის მონაწილეთა, მისი სამეცნიერო მასალების და ქონების გადარჩენის სამოქმედო ოპერაციის წარმატებით შესრულება, დაჯილდოებულ იქნან ლენინის ორდენით მფრინავები:

ა. ვ. ლაპიდევსკი,
ს. ა. ლევანევსკი,
ვ. ს. მოლოკოვი;
ს. ი. კამანინი,
მ. ტ. სლეპნევი,
მ. ვ. ვოდოპიანოვი,
ო. ვ. დორონინი.

აგრეთვე ისინი, ვინც უზრუნველჰყო მოტორების საიმედო მუშაობა ჩელუსკინელთა გადასარჩენად ყინულებზე გადაფრენის დროს ბორტმექანიკოსები და მეთვალყურე მფრინავები: ლ. ვ. პეტროვი — მფრინავი; ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი

ა. ენუქიძე.

მოსკოვი, კრემლი.
20 აპრილი, 1934 წ.

„ჩელუ კინის" კოლარული ლაშქრობის მონაწილეთა წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. აღნიშნოს სამმაგიასა, ორგანიზებულობისა და დისციპლინირებისათვის, რომელიც პოლარულ რაზმმა გამოიჩინა ყინულოვან ოკეანეს ყინულებში გემ „ჩელუსკინის" დაღუპვის მომენტში და შემდეგ, რამაც უზრუნველჰყო ადამიანთა სიცოცხლის, ეშპედიციის სამეცნიერო მასალების, ქონების გადარჩენა და შექმნა საჭირო პირობები დახმარების აღმოჩენისა და დახმარებისათვის, დაჯილდოებულ იქნან წითელი ვარსკვლავის ორდენით:

1. **ო. ი. შმიდტი**—ეშპედიციის უფროსი.
2. **ვ. ი. ვორონინი**—„ჩელუსკინის" კაპიტანი.
3. **ა. პ. ბობროვი**—ეშპედიციის უფროსის თანაშემწე.
4. **ე. ტ. კრენკელი**—ეშპედიციის უფროსი რადისტი.
5. **ბ. გ. მოგილევიჩი**—რომელიც დაიღუპა 1934 წ. 13 თებერვ. „ჩელუსკინეზე".
6. **ი. ვ. გუდინი**—„ჩელუსკინის" კაპიტანის უფროსის თანაშემწე.
7. **მ. ვ. მარკოვი**—კაპიტანის მეორე თანაშემწე.
8. **ბ. ი. ვინოგრადოვი**—კაპიტანის მესამე თანაშემწე.
9. **ბ. ვ. პავლოვი**—დუბლიორი, კაპიტანის უფროსი თანაშემწე.
10. **ს. კ. მატუხევიჩი**—უფროსი მექანიკოსი.
11. **ფ. პ. ტრონინი**—მეორე მექანიკოსი.
12. **ა. პიოტრკოვსკი**—მესამე მექანიკოსი.
13. **ა. ზ. კოლესნიჩენკო**—პრაქტიკოსი მექანიკოსი.
14. **პ. გ. ფლეროვი**—მექანიკოსი-პრაქტიკოსი.
15. **ვ. ვ. ივანოვი**—რადისტი.
16. **ა. ა. შაგორინი**—ბოცმანი.
17. **ა. ლ. შუში**—დურგალი.
18. **ვ. ი. დურასოვი**—პირველი კლასის მეზღვაური.
19. **ი. ვ. სერგეევი**—პირველი კლასის მეზღვაური.
20. **ნ. მ. ლომონოსოვი**—პირველი კლასის მეზღვაური.
21. **ვ. ი. სინცოვი**—პირველი კლასის მეზღვაური.
22. **გ. მოხოლოვი**—პირველი კლასის მეზღვაური.
23. **ა. ე. ბარკოვიჩი**—მეორე კლასის მეზღვაური.
24. **ა. ბ. მორონოვი**—მეორე კლასის მეზღვაური.
25. **გ. ს. ბორანოვი**—მეორე კლასის მეზღვაური.
26. **მ. კ. ტკაჩი**—მეორე კლასის მეზღვაური.
27. **ვ. ფ. ბარშინი**—პირველი კლასის მემანქანე.
28. **ს. ფ. ფოტინი**—პირველი კლასის მემანქანე.
29. **ლ. დ. მარტიშოვი**—პირველი კლასის მემანქანე.
30. **პ. ი. პეტროვი**—მეოთხე მექანიკოსი.
31. **ი. ხ. ნეხტეროვი**—მეორე კლასის მემანქანე.
32. **ა. პ. პოკონი**—მეორე კლასის მემანქანე,
33. **ვ. ა. ზადოროვი**—პირველი კლასის ცეცხლფარეში.
34. **ი. ხ. რუმიანცევი**—პირველი კლასის ცეცხლფარეში.
35. **ხ. ნ. კისელევი**—პირველი კლასის ცეცხლფარეში.
36. **ბ. ლ. მარკოვი**—პირველი კლასის ცეცხლფარეში.
37. **ა. ნ. აფოფონევი**—პირველი კლასის ცეცხლფარეში.
38. **ვ. ი. გრომოვი**—პირველი კლასის ცეცხლფარეში.
39. **ვ. ლ. პარშინსკი**—პირველი კლასის ცეცხლფარეში.
40. **ა. გ. ულიევ**—პირველი კლასის ცეცხლფარეში.
41. **პ. ი. ბუტაკოვი**—პირველი კლასის ცეცხლფარეში.
42. **ბ. ა. კუკუშკინი**—პირველი კლასის ცეცხლფარეში.
43. **გ. პ. ერმილოვი**—პირველი კლასის ცეცხლფარეში.
44. **ფ. ს. სერგეევი**—მზარეული.
45. **ა. ო. მოროზოვი**—ზზარეული.
46. **ნ. ხ. კოზლოვი**—მზარეულის თანაშემწე.
47. **ვ. მ. აგაპოვი**—პურისმჭრელი.
48. **ი. ა. გორსკაია**—დამლაგებელი.
49. **ე. ი. ბურკოვა**—დამლაგებელი.
50. **ტ. ა. მილოხლავსკაია**—დამლაგებელი
51. **ა. ი. რუდახი**—დამლაგებელი.
52. **ს. ხ. ლოპუხინა**—დამლაგებელი.
53. **ი. ი. მელხოვსკი**—მეორე კლასის უცხლფარეში.
54. **ა. ე. ლესკოვ**—პირველი კლასის მეზღვაური.
55. **ი. ა. კონუსოვ**—ეშპედიციის უფროსის ხელოვნელი.
56. **ი. მ. ბაევსკი**—ეშპედიციის უფროსის მოადგილე.
57. **ი. ი. გაკალი**—გეოდეზისტი.
58. **პ. პ. ლობზა**—პიდროქიმიკოსი.
59. **ვ. ო. სტახანოვი**—ზოოლოგი.
60. **ნ. ნ. შპაკოვსკი**—აეროლოგი.
61. **პ. პ. შირშოვი**—პიდრობიოლოგი.
62. **ი. გ. ფაკუდოვი**—ინჟინერი-ფიზიკოსი.
63. **ი. კ. სმოლიანოვი**—პიდროგრაფი.
64. **ნ. ვ. ნოვიცკი**—ფოტოგრაფი.
65. **ა. ვ. ივანოვი**—მოტორისტი.
66. **ფ. პ. რუშენცოვი**—მბატევარი.
67. **ბ. ვ. გრომოვ**—„ოზვესტიას" კორესპონდენტი.
68. (გამოტოვებულია).
69. **ო. ა. სოროკინი**—ეშპედიციის მდივანი.
70. **ა. ა. კანცელი**—უფროსის გამგე.
71. **ვ. ო. გოროდოვი**—ამფეთქებელი.
72. **ხ. ხ. ბაბუშკინ**—პილოტი.
73. **ვ. ხ. ვალავინი**—ბორტმექანიკოსი.
74. **პ. ვ. რახე**—ინჟენერი.
75. **ი. პ. შულმანი**—სტუდენტი-მკვლევარი.
76. **პ. ს. ბუკო**—ერთგელის კუნძულის სადგურის უფროსი.
77. **ლ. ვ. ბუკო** (კოჟინა).
78. **ვ. გ. ვასილიევ**—გეოდეზისტი.
79. **დ. ი. ვასილიევა.**
80. **ნ. ნ. კომოვი**—უფროსი მეტეოროლოგი.
81. **ო. ნ. კონოვა**—მეტეოროლოგი.
82. **ლ. ო. ბოლოტოპოლსკი**—ბიოლოგი.
83. **ა. პ. სუშკინ**—ისტორიკოსი.
84. **ა. ა. ნიკიტინ**—ექიმი.
85. **ა. გ. პოლოხოვი**—უფროსი მექანიკოსი
86. **ვ. ვ. გურიევიჩი**—მეკუპნავე.
87. **ე. ს. პროკოპოვიჩი**—ფაქტორიის გამგე.
88. **ს. ა. ივანოვი**—რადისტი.
89. **ა. ი. ზვერევი**—ზზარეული.
90. **კ. ფ. კოკონი**—მსახური.
91. **ვ. ი. რიცკ**—გეოლოგი.
92. **ბ. ა. რიცკ.**
93. **ა. რიმოვი**—მთავარი ინჟენერი.
94. **ო. კ. ნ[illegible]ოლაევი**—მელუმელე.
95. **ვ. ი. ბერეზინი**—მეღუმელე.
96. **დ. ი. ბერეზინი**—მეღუმელე.
97. **პ. სოროკინი**—დურგალი.
98. **ფ. ი. ხვოროცოვი**—დურგალი.
99. **ვ. ვ. ბარანოვ**—დურგალი.
100. **ნ. ნ. კულიანი**—დურგალი.
101. **დ. ი. კუდრაშოვცევი**—დურგალი.
102. **პ. ი. ვორონინი**—დურგალი.
103. **ვ. ხ. გოლუბევი**—დურგალი.
104. **ა. ი. იუშანოვი**—დურგალი.

2. მიეცეს ყველა ჩელუსკინელს ერთიდროული ფულადი ჯილდო ნახევარი წლის ჯამაგირის ოდენობით.

ს.ს.რ. კავშირის ც. აღმ. კომიტეტის თავმჯდომარე მ. კალინინი.

ს. ს. რ. კავშირის ც. აღმ. კომიტეტის მდივანი ა. ენუქიძე.

მოსკოვი, კრემლი.
20 აპრილი, 1934 წელი.

ჩელუ კინელთა გადამრჩენ მფრინავების თვის საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მიკუთვნება

ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

„ჩელუსკინის" 1933-1934 წლის პოლარული ლაშქრობის, რაც მიმდინარეობდა უაღრესად ძნელ პირობებში ყინულოვან ოკეანეზე ყინულებში და დამთავრდა 1934 წლის 13 თებერვალს გემ „ჩელუსკინის" ყინულებით გასრესისა და გემის დაღუპვით, შემდეგ ორი თვის განმავლობაში ლაშქრობის მონაწილეების ცხოვრებაზე „მშიდის ბანაკში" მამაცურად ყოფნის, ე

„რკინისგზელო მუშებო, ინჟინერებო და ტექნიკოსებო! იბრძოლეთ ტრანსპორტის საქმისათვის. ნამდვილად განამტკიცეთ დისციპლინა ტრანსპორტზე, მიაღწიეთ ტრანსპორტის აღორძინებას, გადაზიდვის გეგმის შესრულებას!“

(საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ს ნებართველობისა ლოზუნგებიდან)

სტალინური საწარმოო ლაშქრობა ტრანსპორტზე

ფაბრიკა—ქარხნებო! საქმით დაეხმარეთ სადგურებს, დეპოებს, დისვანციებს

ტფილისის ფაბრიკა-ქარხნები უნდა დაეხმარონ საშეფო სადგურებს

ჩვენ გუშინ აღვნიშნავდით, რომ ტფილისის ფაბრიკა - ქარხნები ვერ იამაყებენ ტრანსპორტისათვის დახმარების გაწევაში, თუმცა პარტიის ტფილისის კომიტეტმა დიდიხანია მიაპყრა ისინი სავალე სადგურებს.

თამბაქოს ფაბრიკა „პროლეტარია“, რომელიც ტფილისის კომიტეტმა შეფობის ხაბით სადგ. ძეგვს მიამაგრა, ორჯერ გაგზავნა თავისი ბრიგადა საშეფო სადგურში მდგომარეობის შესასწავლად.

რა ნახეს იქ?

სიბინძურე, უსინათლობა, ტექნიკური და კეთილმოწყობის მხრივ ყოველად უხსგავსო მდგომარეობა.

მოუასფალტებელი სადგურის ბაქანი, სადაც ავდარში გაუვალი ტალახია, განათების სრული უქონლობა, ნავთის და ასანთის უქონლობის გამო სადგურის მუშაკები ბნელაში ზიან; მუშათა ბინები ნესტიანია, არა აქვთ ჩვარი ისრების გასაწმენდათ, არა აქვთ სასიგნალო ფანრები, არა აქვთ მაზუთი ისრების დასახურად; სიბნელის გამო სადგურში ხშირია მარცხი; კულტ-მასობრივი მუშაობა ცუდია, ზემდგომი ორგანიზაციები არ ეხმარებიან სადგურს; მოძრავი ვაგონ - დუქანი იქ არ ჩერდება; არა აქვთ ბაკი სასმელი წყლით სათვის; სუსტია პარტიული მუშაობა, უჯრედის მდივანი არ იცნობს მე-17 პარტყრილობის დადგენილებებს, არ იცნობს ბელადის სიტყვას ამ ყრილობაზე — ეკითხულობთ თუ მშაქოს ფაბრიკის დამკვრელთა დასკვნაში.

შეფმა ეს მასალა გადაუგზავნა მეორე რაიონის ხელმძღვანელებს. რა შედეგი მოჰყვა მას? არაფერი. მდგომარეობა ძეგვში უცვლელია.

შეფებმა დასახეს ღონისძიებები სადგურისათვის დასახმარებლად, შეიძინეს მათთვის რადიო, უმზადებენ ბიბლიოთეკას, აპირობენ, გაშალონ სადგურში კულტურული მუშაობა. მაგრამ ყველაფერი ეს მზადდება. ჯერ არცერთი ღონისძიება ცხოვრებაში გატარებული არ არის.

ახლა ფაბრიკის რეორგანიზაცია მიდის და ამან შეგვიშალა ხელიო,— იმართლებს თავს საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე.

ვფიქრობთ, რომ რეორგანიზაცია აქ არაფერ შუაშია. რეორგანიზაციის პერიოდში შეიძლებოდა ბრიგადის გაგზავნა სადგურში, რომ მისთვის რეალური დახმარება გაეწიათ.

მაგრამ ეს არ ყოფილა გაკეთებული. შეამოწმეს სადგური და ამით გაათავეს საქმე, შემოწმება კარგია, ტერიტორიალური ორგანიზაციები უნდა ეცნობოდენ ტრანსპორტის ცალკე სამეურნეო ერთეულების მდგომარეობას, მაგრამ ეს არ კმარა, საჭიროა და უფრო ნაყოფს მომტანი ამ შესწავლის საფუძველზე სადგურებისათვის რეალური დახმარების აღმოჩენა.

ამას მოითხოვს დღეს ტრანსპორტი საშეფო ორგანიზაციებისაგან.

ტულის ფაბრიკა - ქარხნების დამკვრელთა მოწოდება ფაბრიკა „პროლეტარიაში“ მხოლოდ გაზეთიდან იცნობენ, მის გასატარებლად ღონისძიებები აქ არც შეუთუშავებიათ.

ამასაც რეორგანიზაციით ამართლებენ.

ასეთი შეფობა ვერ არგებს სადგურს.

* * *

ამგვარ „დახმარებას“ არ გასცილებია კალინინის სახელობის ქარხანაც. მათაც შეამოწმეს თავის საშეფო სადგური ჩსანი, ნახეს იქ აღმაშფოთებელი მდგომარეობა, მივიდენ საერთო დასკვნამდე, რომ სადგურს სასწრაფოდ ესაჭიროება დახმარება.

მაგრამ სურვილი სურვილად დარჩა, სადგ. ჩსანს კი ჯერ მათგან დახმარება არ უნახავს.

ახლა კი, ტულის დამკვრელთა მოწოდების შემდეგ, ორმელიც დამუშავდა ქარხნის ცალკე სამჭროებში მდგომარეობა იცვლება.

მოწოდების დამუშავებამ მუშებში დიდი აქტივობა გამოიწვია და როგორც პარტკომს, ისე ქარხკომს მოუხდათ მოესინათ მუშათა მკაცრი კრიტიკა თავის უმოქმედობის შესახებ და დაესახათ დახმარების კონკრეტული ღონისძიებები. ქარხნა კისრულობს: შეაკეთოს სადგურის ინვენტარი და შეღებოს სადგურის შენობა.

უზრუნველჰყოს სადგური წიგნებით, განსაკუთრებით პარტიული ლიტერატურით.

შეაკეთოს სადგურის რადიო.

ეს საერთოდ, კერძოდ 24 აპრილს ქარხნის მუშები მონაწილეობას მიიღებენ საგზაო, საპირველმაისო შაბათობაში და დაეხმარებიან სადგურის მუშაკებს ისრების, ლიანდაგების და შენობების გასუფთავებაში.

კალინინელები ახლა სერიოზულად კიდებენ ხელს ტრანსპორტზე შეფობის საკითხს და უნდა ვიფიქროთ, რომ მათი მუშაობა ამ მხრივ ნაყოფს გამოიღებს.

— ჩვენ თვითონ დასახმარებელი ვართ, — აცხადებს ტრამვაის გაერთიანებულ ადგილკომის თავმჯდომარე.

— მართალია ჩვენ ტფილისის კომიტეტმა მიგვამაგრა სადგ. გორზე, მაგრამ არაფერი არ გაგვიკეთებია ამ მხრივ.

— ან კი რა დახმარება უნდა გაუწიოთ ჩვენ რკინის გზას, როდესაც თვითონ დახმარებას ვსაჭიროებთ. რკინის გზა თითქმის თავს აღწევს ჩამორჩენას, ჩვენ კი, როგორც მოგეხსენებათ, საქალაქო მეურნეობის ყველაზე ვიწრო ადგილს წარმოვადგენთო — დასძინეს ტრამვაის ადგილკომის თავმჯდომარე (გულწრფელი აღიარებაც ჯერჯერობით საქმეა!).

ამგვარად, ტრამვაელებს მტკიცედ გადაუწყვეტიათ, რომ მათ არავითარი დახმარების გაწევა არ შეუძლიათ რკინის გზისათვის და არც იწუხებენ ამ მიზნით თავს. ამიტომაა, რომ ტულის დაშკვრელთა მოწოდება მათ დაუმუშავებიათ საამქროებში და ყველა იქ წამოყენებული დებულებები შეუფარდებიათ მხოლოდ თავის მეურნეობისათვის.

* * *

საერთოდ, დღემდე ძალზე ცოტაა გაკეთებული ტფილისის ტერიტორიალურ ორგანიზაციებში და ფაბრიკა - ქარხნებში ტრანსპორტისათვის დახმარების ასასწორებლად. ტულელების მოწოდების შემდეგ ძირფესვიანი ვარდატეხა უნდა მოხდეს ამ დარგში. ტფილისის საწარმოებმა სერიოზულად უნდა მოკიდონ ხელი ტრანსპორტის ავადსაყოფების აღმოსაფხვრელად.

კიროვერ შურა კატაევის გმირული საქციელი

მემანქანის წერილი

ბოსკოვი, 20 აპრილი. 31 მარტს ჩუსოვსკაია — ლიამინის გადასარბენზე თავდაცმარითზე მიმავალი საბჭოთო მატარებელი № 837, წონით 790 ტონა. მატარებელი მიდიოდა 30 კილომეტრის სისწრაფით. მე ყურადღებით ვაკვირდებოდი გზას. შორს მარცხნით დავიჭახე ბავშვი, რომელიც აჭენებდა წითელ ნაჭერს.

ჩვენ დაუყოვნებლივ გავაჩერეთ მატარებელი. ბავშვს ხელში ეჭირა პიონერის ყელსახვევი. მან მოირბინა ჩვენთან და გვითხრა, რომ წინ ამოვარდა რელსის ნაჭერი. მატარებელი გადარჩა.

გამოირკვა, რომ 11 წლის პიონერმა ალექსანდრე კატაევმა ჩვენი მატარებლის მისვლამდე 15 წუთით ადრე აღმოაჩინა გზის დაზიანება. იგი გაიქცა გზის დარაჯის ხულასაკენ, მაგრამ ამ დროს გაიგონა ჩვენი მატარებლის ხმა. მაშინ ის მამაცად მორბენდა მატარებლისაკენ და გადაჩერა იგი წითელი ყელსახვევით.

ვუცხადებ პრაქტიკულ მადლობას მატარებლის გადამჩენს. ყველა პიონერმა მიბაძეთ მას, დაიხმარეთ ჩვენს ტრანსპორტს.

ჩუსოვსკაის დეპოს მემანქანე
კლეპიზოვ.

პიონერი კატაევი დაჯილდოებულია

მოსკოვი, 20 აპრილი. კომკავშირის სვერდლოვსკის ოლქკომმა გმირული საქციელისათვის პიონერი კატაევი დაჯილდოვა ტანისამოსით და არტეკის საზაფხულო ბანაკში გაგზავნით.

თავის დადგენილებაში კომკავშირის სვერდლოვსკის ოლქკომმა ჩასწერა: „პიონერთა რაზმი, რომელმაც აღზარდა შურა კატაევი, როგორც თავდადებული მებრძოლი სოციალიზმის საქმისათვის, დაჯილდოებულ იქნა პატეფონით. წინადადება მიეცეს რაზმების ყველა წინამძოლებს განიხილონ სარაზმო შეკრებებზე პიონერ კატაევის გმირული საქციელი“ (ხდს).

სამტრედია ეგმეგა სტალინურ ლაშქრობაში, იწვევს ბათომს

სადგურ სამტრედიის და საორთქლმავლო დეპოს სამკუთხედმა დაკვრელი მუშების და ინჟინერ-ტექნიკოსთა მონაწილეობით დაამუშავა სადგურო ნავთლუღის სტალინური გაწვევის დამკვრელთა მომართვა — საერთოშორისო პროლეტარული დღესასწაულის პირველ მაისის შეხვედრის და სადგურებს შორის სოციშეჯიბრების გაშლის შესახებ.

სადგურო და საორთქლმავლო დეპო ჩაება ამხ. სტალინის სახელობის საკავშირო საწარმოო ლაშქრობაში ტრანსპორტის გაჯანსაღებისათვის.

საპირველმაისოდ მზადების და ამხ. სტალინის სახელობის საკავშირო საწარმოო ლაშქრობაში ჩატარებისათვის სამტრედიის საორთქლმავალო დეპოს კოლექტივმა სოციშეჯიბრებაში გამოიწვია ბათომის საორთქლმავალო დეპო.

ვ. რუსია.
გ. სიხარულიძე.

სადგური ოჩემჩირე ჩაება ლაშქრობაში

სადგურ ოჩემჩირეს კოლექტივი, სადგურის უფროსი — ამხ. ონ. გვაზავას ხელმძღვანელობით თავს ართმევს ამ მოშობას.

სადგურ ოჩემჩირეს უფროსი ამხ. ალ. გვაზავა

უკანასკნელი ოთხი თვის განმავლობაში სადგურში ადგილი არ ჭონია უფროსის განკარგულების დარღვევის არც ერთ შემთხვევას. ამხ. გვაზავა თავდაცვის სასტიკად მიუდგა დისციპლინის დამრღვევ რკინისგზელეს. იგი ყოველთვის პირადად ამოწმებს თვითეულ თანამშრომლის მიერ დავალების შესრულებას; ამან გაზარდა მუშაკთა პასხისმგებლობა და გაამაგრა დისციპლინა.

ბენდერების უქონლობის გამო, სადგურის ისრები და სემაფორები, წინად გაუნათებელი იყო. ახლა, დამკვრელი მეისრეების — ლვინჯგილიას და თოფურიას დახმარებით, სადგურის უფროსმა მოაღწია ისრების და სემაფორების განათების სანიმუშოდ დაყენებას.

გეგმით, ვაგონების მოცდენა სად. ოჩემჩირეში არ უნდა აღემატებოდეს 14 საათს. ვაგონების მოცდენის კიდევ უფრო შემცირება აქ ძნელი საქმეა, რადგან მეტ შემთხვევაში ვაგონები ლამით ტრანზიტდება და არ არის შესაფერისი საწყობები. მოუხედავათ ამისა, ვაგონების მოცდენის დრო დაყვანილია 12 საათამდე.

ა.-კ. რკ. გზების მშენებლობის სამმართველომ, ასეთი მუშაობისათვის ამხ. გვაზავა დააჯილდოდა 400 მან. და გამოუცხადა მადლობა. აგრეთვე დაჯილდოვებულია უფროსის მოადგილე — შენგელაია და მეისრეები თოფურია და ლვინჯგილია.

საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სახკომსაბჭოს დადგენილების გამოქვეყნებისთანავე, სადგური შეუდგა მის განხორციელებას. ახლა კი, ტულელ დამკვრელთა ინიციატივით დაწყებულ სტალინური საწარმოო ლაშქრობასთან დაკავშირებით, ოჩემჩირემ მიიღო სადგურ ინგურის გამოწყვევა და თავის მხრივ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ჯულფა-ბაქოს ხაზის სადგური ალიატა.

ალ. გაღათურია.

საუოველთაო მუვიდოგიანოგის უზრუნველყოფა

საბჭოთა კავშირის საბარეო პოლიტიკის ძირითადი მიზანია

კოლონეთის პრესის წარმომადგენელთა საბჭოთა ქვეყნის ხრულუფლებიანი წარმომადგენლობის შესახებ

ვარშავა, 20 აპრილი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში გაემართა პოლონეთის პრესის წარმომადგენელთა დარბაზობა. სიტყვით გამოვიდა სრულუფლებიანი წარმომადგენელი დვთანანი, რომელმაც აღნიშნა, რომ უკანასკნელი წლების გარემოვლობაში საბჭოთა ქვეყნის პოლიტიკური ურთიერთობა პოლონეთთან საგრძნობლად გაუმჯობესდა, რასაც ხელი შეუწყო თავდაუსხმელობის პაქტმა და ლონდონის კონვენციამ აგრესორის განსაზღვრის შესახებ.

ამხ. დავთიანმა აღნიშნა აგრეთვე, რომ უფროდაუფრო ძლიერდება ორიენტი ქვეყნის ურთიერთი დაკავშირება კულტურის, მეცნიერების და ხელოვნების დარგში, და გამოთქვა იმედი, რომ „კიდევ უფრო გაფართოვდება სავაჭრო ურთიერთობა საბჭოთა საიმპორტო ორგანიზაციებსა და პოლონეთის მრეწველობას შორის, რომელიც მთელი რიგი წლების განმავლობაში ასრულებს მსხვილ შეკვეთებს საბჭოთა კავშირისათვის“.

შეერთდა რა საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკაზე, ამხ. დავთიანმა თქვა: „ჩვენი ქვეყანა არავითარ დაპყრობით მიზანს არ ისახავს, მთელი ჩვენი ძალღონე მიმართულია უდიდესი სოციალისტური მშენებლობისაკენ“. აღნიშნა რა, რომ 1945 წლამდე განგრძობილ იქნა თავდაუსხმელობის პაქტები საბჭოთა კავშირსა და მის ბალტიის მეზობლებს შორის, ამხ. დავთიანმა განაცხადა: „შემდეგშიც საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა ერთ მიზანს ისახავს: „საყოველთაო მშვიდობიანობის უზრუნველყოფას და თავის მეზობლებთან ურთიერთობაზე გაუმჯობესებას“ (ხდს).

საფრანგეთის კომკავშირი გმირულად იგრძვის

ოქტის გამჩალებელი ფაშისტების წი ნააღმდეგ

პარიზი, 12 აპრილი. კომკავშირი აქტიურად ემზადება კომპარტიის მიერ 1 მაისისათვის დანიშნულ საყოველთაო გაფიცვასა და ომის საწინააღმდეგო ანტიფაშისტური დღისათვის—20 მაისისათვის. შრადაც ქალაქში გაიმართა ანტიფაშისტური კრებები, რომლებზედაც არჩეულ იქნა დელეგატები ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ანტანტური ფრონტის ორგანიზაციის მუშათა კონფერენციისათვის. ამ კონფერენციაზე, რომელიც დანიშნულია 20 მაისისათვის, მთელ რიგ საკითხებთან ერთად განხილული იქნება ფაშისტური ლიგების წინააღმდეგ ბრძოლის ახალი კომიტეტები.

კომკავშირის გაზრდილი აქტიურობის შედეგად,—წერს კომკავშირის ორგანო „ავან გარდი“,—უკანასკნელ თვეების განმავლობაში საფრანგეთის კომკავშირის რიგებს შეემატა 1542 ახალი წევრი. კომკავშირის ყველაზე უფრო მეტ ზრდას ადგილი აქვს დიდ სამრეწველო ცენტრებში (პარიზის ოლქი, მარსელი, ლანგედოკის ელზას-ლოტარინგია; მათ სურთ ტელმანზე თავდასხმების ინიციატორთა დასჯა. მას აწამებენ, ფაშისტები ამზადებენ შეუბრალებელ შურისძიებას, ისინი ამბობენ შური იძიონ ემისათვის, რაზეც ვერ შეძლეს გაენადგურებინათ გერმანიის გმირული კომპარტია, რომელიც, ფაშისტური დიქტატურის ველური ტერორის, პროვოკაციების, სასტიკი პრობების მიუხედავად, ხელმძღვანელობას უწევენ მშრომელ მასების არალეგალურ მუშაობას. საბჭოთა კავშირის მშრომელნი მთელ მსოფლიოს მშრომელებთან ერთად თვის მშურვალე სალამს უთვლიან ტელმანს და გერმანიის ყველა რევოლუციურ პროლეტარს.

გაუმარჯოს გეროიანის გმირულ კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს ტელმანს! გამოვსულიყოთ იგი ხელიდან ფაშისტ-ჯალათებს (ხდს).

„პრავდას“ აპრძალვის გაუქმება გერმანიაში

ბერლინი, 20 აპრილი. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს ამხ. ხინჩუკს აცნობა, რომ „პრავდას“ აკრძალვა გერმანიაში გაუქმებულია (ხდს).

ესტონეთის ჟურნალისტები გამოეგზავრენ საბჭოთა კავშირში

ტალინი, (რეველი). 20 აპრილი. საბჭოთა კავშირისა გამგზავრა ესტონეთის უდიდესი გაზეთების ათი წარმომადგენელი საგან შემდგარი ჟურნელისტთა ჯგუფი ჟურნელისტთა კავშირის თავმჯდომარის, ესტონეთის დეპუტატის აგენტოს დირექტორის კენელის მეთაურობით. ჟურნალისტები ინახულებენ ლენინგრადს, მოსკოვს, დნეპრობეტონის გიგანტებს, კავკასიას, აგრეთვე საბჭოთა კავშირის მთელ რიგ პუნქტებს (ხდს).

იაპონიის იმპერიალისტები უკან იხევენ

საბარეო საქმეთა სამინისტრო „განმარტებას“ იძლევა

ტოკიო, 20 აპრილი. მას შემდეგ, რაც საგარეო საქმეთა სამინისტრო დაადგინა, რომ მისმა განცხადებამ საზღვარგარეთ მოიყალი უარყოფითი გამოხმაურება გამოიწვია,—წერს „ასახი“,—მან იაპონიის ყველა დიპლომატიურ წარმომადგენლებს საზღვარგარეთ გაუგზავნა განცხადების სრული ტექსტი და წერილად მისცა მიიღონ სათანადო ზომები იმისათვის, რომ „განმარტების გაუგებრობანი, რომლებიც შიიძენა წამოჭრას“. სდგაიო საქმეთა სამინისტროში აღნიშნავენ,—წერს გაზეთი,—რომ „განცხადება დამყარებულია ხიროტას მიერ პარლამენტში 23 თებერვალს წარმოთქმულ სიტყვაში გამოთქმულ ხრწმენაზე, რომ „იაპონიის იმპერიას, როგორც აღმოსავლეთ აზიაში მშვიდობიანობის დაცვის საქმისათვის უარყოფითი შედეგები. იაპონიის მთავრობამ, რომელსაც არ ძალუძს დუმილით აუაოს გვერდი ასეთ მოქმედებას, გამოაქვეყნა განცხადება“ (ხდს).

განკინის საბარეო საქმეთა სამინის ტროს წარმომადგენლის განცხადება

შანხაი, 20 აპრილი. შეცნო რა იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებას ჩინეთის მიმართ წარმოებული პოლიტიკის შესახებ, ნანკინის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ „არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება იქონიოს პრეტენზიები განსაკუთრებულ პასუხისმგებლობაზე მშვიდობიანობის შენარჩუნებისათვის მსოფლიოს რომელიმე ნაწილში“. ჩინეთს, რომელიც მისწრაფვის მშვიდობიანობის და საერთაშორისო თანამშრომლობის შენარჩუნებისაკენ, „არასდროს არ ჰქონია განსახვა ზიანი მიეყენებინა რომელიმე ცალკე აღებულ ქვეყნისათვის ან დაერღვიოს მშვიდობიანობა მორიგულ აუმისაელეთში“.

საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აეროპლანების და იარაღის შეძენით და უცხოელი სპეციალისტების პერიოდში ჩინეთის მთავრობა ისახავდა მხოლოდ ნაციონალური თავდაცვის გაძლიერებას, რაც შეეხება იაპონია-ჩინეთის ახლანდელ ურთიერთობას, განაცხადა წარმომადგენელმა, სამდეროდ და ხანგრძლივი მშვიდობიანი ურთიერთობა იაპონიასა და ჩინეთს შორის, ისევე როგორც ჩინეთსა და სხვა ქვეყნებს შორის აგებულ უნდა იქნას კეთილმოსურნეობის და ურთიერთგაგების ბაზაზე. ჯერ კიდევ დიდი გზის გავლაა საჭირო, სანამ ასეთი ბაზა შეიქმნებოდეს (ხდს).

დაგნეულია ინგლისში

ლონდონი, 20 აპრილი. ინგლისის მთავრობის გაზეთების უმრავლესობა, ისე როგორც წინათ, თავს არიდებს კომენტარების იაპონიის განცხადების გამო. „ტაიმსი“ აქვეყნებს მხოლოდ ტოკიოდან და ვაშინგტონიდან მიღებულ ცნობებს, რომლებსაც უკეთებს ასეთ სათაურებს—„სახელმწიფოთა გაშორვება“. „დეილი ტელეგრაფი“ მოწონებით წერილში იაპონიის პოლიტიკას და ამბობს „ოღვევის პროცესში მყოფ აღსტრო-უნგრეთის იმპერიის“ ომიდეით პოლიტიკას და დასკვნის იაპონიის პრეტენზიებს ჩინეთში „მშვიდობიანობის დარაჯის“ როლზე (ხდს).

ჯაპონიის ჯარები ჩინეთის ტერიტორიაზე ახალ ინციდენტს იწვევენ

ნანკინის მთავრობა ამხელს იაპონიის ჯარების ახალ ბოროტმოქმედებას

ნანკინი, 20 აპრილი. ნანკინის მთავრობა ამხელს იაპონიის ჯარების ახალ ბოროტმოქმედებას. ნანკინის ცნობით, 18 აპრილს იაპონიის ჯარების ნაწილი, რომელიც ჩრდილოეთ ჩინეთში იმყოფება, ჩინეთის ტერიტორიაზე გადმოვიდა და ჩინეთის ჯარებს ცეცხლი გაუხსნა. ამ ინციდენტის შედეგად ჩინეთის ჯარებმა ორი ადამიანი დაკარგეს, ხოლო ოთხი ადამიანი დაიჭრა. ნანკინის მთავრობა ამ ინციდენტის გამო ოფიციალურ პროტესტს აცხადებს (ხდს).

ჰარტყრილობის შედეგების შესწავლა სუსტად მიმდინარეობს

(ტყიბული, ჩვენი საკუთ. არი კორესპონდენტისაგან)

ტყიბულის პარტიის რაიონულმა კომიტეტმა და სხვა ორგანიზაციებმა თავიდანვე ვერ მოკიდეს სერიოზულად და საფუძვლიანად ხელი მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდას. მათ მისცეს ადგილებს დირექტივები, რომ, რაც შეიძლება სწრაფად ჩატარებულიყო ყრილობის გადაწყვეტილებათა დამუშავება. ამის შედეგად პროპაგანდისტმა ბარამიძემ სოფ. ცუცხვათის კოლმეურნეობაში ერთი „მოხსენებით“ „დაამუშავა“ ამხ. სტალინის საანგარიშო მოხსენება. ასევე მოიქცა პროპ. ს. რიფმაძე, სოფ. მუხურაში, მან ერთი საუბრით „ამოწურა“ ყველაფერი ის, რასაც ამხ. მანუილსკი შეეხო თავის მოხსენებაში კომინტერნის მუშაობის შესახებ.

ცხადია ყრილობის გადაწყვეტილებათა ასე „სწრაფი ტემპებით“ დამუშავება ვერ მოგვცემდა ვერავითარ ნაყოფს და ვერც მოგვცა. სოფ. ცუცხვათში ბარამიძის მოხსენების შედეგად; კოლმეურნეებმა გაიგეს მხოლოდ ის, რომ ამხ. სტალინმა პარტიის მე-17 ყრილობაზე გააკეთა მოხსენება, მაგრამ რა თქმა უნდა მან ვერ მოახერხა, რა თქმა უნდა სოფლის მეურნეობის და განსაკუთრებით სახ. - სამ. არტელის შესახებ, ამაზე ცუცხვათში კოლმეურნეთა საგრძნობ ნაწილს დღესაც არა აქვს წარმოდგენა.

ხრეხილის სახ. საბჭოზე ყრილობის შედეგების დასამუშავებლად რაიონიდან სპეციალურად მიმაგრებული ამხ. კ. ცირეკიძე სრულიად უპასუხისმგებლოდ ეკიდება ამ საქმეს, მან მხოლოდ ერთხელ „ჩაიარა“ ხრეხილში და ამით გაათავა თავისი საქმიანობა. მას არც ერთ სკოლაში არ დაუმუშავებია ყრილობის შედეგები. კ. ცირეკიძე რაიპროფსაბჭოს თავმჯდომარეა, გააკეთა რამე თავისი ხაზით ყრილობის გადაწყვეტილებათა დამუშავებისათვის? არაფერი. პროფსაბჭოს სხვა ორგანიზაციებზე ნაკლები პასუხი როდი მოეთხოვებათ ამ მხრივ; მაგრამ რატომღაც, როგორც ცირეკიძეს, ასე მის მუშაკებს დღემდე არ მოსწყვეტიათ ზარალ ქაღალდებისა და ანგარიშების არსებობის ფეტიშიზმი. პარტკომის მდივანი ამხ. ნ. თოფაძე, არ ზრუნავს დაშლილი პოლიტკოლის აღდგენისა და მეცადინეობის განახლებისათვის. ტრესტის პარტკომში გაერთიანებულ კომუნისტთა საკმაო რაოდენობა არ იცნობს ყრილობის გადაწყვეტილებებს.

ტყიბულის რაიონში არსებობს პარტკაბინეტი; პარტკაბინეტს უდიდესი როლი ენიჭება, ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდის საქმეში. ტყიბულის პარტკაბინეტს გამგედ მუშაობს ასაჩმის სრულიად უცოდინარი ჭიპინაძე; მისი მუშაობა მხოლოდ იმით განისაზღვრება, რომ დილით აღებს კაბინეტის კარებს, წიგნებს მტვერს გადასწმენდს და კვლავ კეტავს კაბინეტს. პარტკაბინეტი არავითარ ხელმძღვანელობას არ უწევს პოლიტსკოლებს.

პარტკაბინეტის მუშაობის გარდაქმნისათვის მიღებული უნდა იქნას სასწრაფო ზომები. ტყიბულის რაკომმა გადაჭრით უნდა გაუმჯობესოს ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა.

გ. ვერაკილაძე.

მოწინავე მეტალურგებს—გაძლიერებული მომარაგება

(ზესტაფონი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

1933 წელს ზესტაფონის ფეროშარგანეცის ქარხნის და მშენებლობის მუშათა კოოპერატივმა სამი ხელმძღვანელობა გამოიცვალა. 1933 წლის დამლევს კოოპერაციის თავმჯდომარედ პარტიის წევრი პ. ნადარეიშვილი მუშაობდა, რომელიც სამუშაო დროის მეტ ნაწილს კოოპერატივის ხარჯზე ქეიფს ანდომებდა. ამას გარდა მან მიითვისა 750 მანეთის საქონელი. ნადარეიშვილი, მოხსნეს მაგრამ მასზე დღესაც ირიცხება კოოპერატივის 900 მანეთი.

კოოპერატივს ახალი ხელმძღვანელობა მოევლინა კოპლატაძის და მლებარიშვილის სახით, რომლებმაც განაგრძეს ნადარეიშვილის საქმე და დაგვირგვინეს იმით, რომ კოპლატაძეზე ირიცხება კოოპერატივის თანხები 3.800 მან., მის მოადგილეზე — 1.300 მან., მათ მიერ მოყვანილ რაზიევზე — 3.900 მან. და ლეფანიშვილზე — 2.500 მან. ეს თანხები მათ კოპლატაძის განკარგულებით საქონლის შესაძენად მიეცათ, მაგრამ ადამიანებთან ერთად ფულებიც დაიკარგა.

მუშათა კოოპერატივის მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ზესტაფონის პარტრაიკომმა შეცვალა კოოპერაციის ხელმძღვანელობა და გადაისროლა იქ გამოცდილი მუშაკები (ო. ოყროშიძე და ძიძიგური).

გამორკვეულ იქნა მუშათა კოოპერატივის ფინანსიური დარგი, რამაც დაადასტურა ზემოთ ნათქვამი. მთლიანად შეცვლილი იქნა ბუღალტერიის შემადგენლობა, გადაისინჯა კოოპერატივის სისტემაში მომუშავეები და კოოპერაციიდან გაძევებულ იქნა 22 უვარგისი და მიტმასნილი ელემენტი.

ცეკავშირმა მუშათა კოოპერატივს მისცა 150.000 მანეთი დაკრედიტება, ქარხნის დირექციამ კი — 50.000 მანეთი. მიღებულ იქნა ზომები დებიტორთა დავალიანების ლიკვიდაციისათვის. დავალიანება 460.000 მანეთიდან დაყვანილ იქნა 130.000 მანეთამდე.

იმატა გეგმის შესრულების მაჩვენებლებმა, თვალსაჩინოდ, 1934 წლის პირველი კვარტლის გეგმა სახვედრის დარეგმა შესრულდა 102 პროცენტით, საპაიო გამოსაღები — 160 პროც., წევრთა მოზიდვა — 122 პროც., საქონლის ნაშთი 95.000 მან. ნაცვლად დაყვანილი იქნა 90.000 მანეთზე. მაგრამ საქონლის ბრუნვის გეგმა მხოლოდ 53 პროც., შესრულდა. ამაში პირველ რიგში ცდკავშირის ქუთაისის ხარაიონთაშორისო ბაზაა დამნაშავე. ქუთაისის ბაზა ყურადღებას არ აქცევს ფეროშარგანეცის ქარხნის მუშათა მომარაგებას, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ქალაქის საკითხზე სახკ. კ. პ. (ბ) ცკას დადგენილება და სპეციალური მითითება, რომ ქუთაისის ბაზის ფერრო - მშენებისათვის განსაკუთრებული ყურადღება მიექცია მომარაგების მხრით და მათთვის გამოყოფილი ფონდები თავის დროზე მიეწოდებია. ქუთაისის ბაზა ამას არ ასრულებს. მაგალითად: გეგმით პირველ კვარტალში ქარხნის კოოპერაციისათვის მას უნდა მიეცა 25 ათასი მანეთის სამრეწველო და 60.000 მანეთის სასურსათო საქონელი, მაგრამ ეს დავალება არაა შესრულებული.

საქ. კ.პ. (ბ) ცეკამ ასეთივე დავალება მისცა მომარაგების კომისარიატსა და ცეკავშირს. მომარაგების კომისარიატს ფერრო-მარგანეცის ქარხნის კოოპერატივისათვის უნდა მიეცა გეგმის ზევით 30.000 მან. საქონელი, ხოლო ცეკავშირს — 60.000 მან. საქონელი. მაგრამ არც ერთსა და არც მეორეს ეს დავალება დღემდე არ შეუსრულებიათ.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მთელი რიგი ხელისშემშლელი მიზეზები, კოოპერაციის ახლანდელმა მუშაკებმა ადგილობრივი და რაიონული ორგანიზაციების უშუალო დახმარებით შესძლო მუშათა მომარაგების საგრძნობლად გაუმჯობესება.

მაგალითად: თუ წინათ მთელ შშენებლობაზე და ქარხანაში მხოლოდ ორი სასადილო იყო, რაც ვერ აკმაყოფილებდა მუშების მოთხოვნილებას და იწვევდა რიგებს, ამჟამად არის მუშათა სამი დაბურული სასადილო და მეორეც ახლო ხანში გაიხსნება. საგრძნობლად გაუმჯობესდა სადგლების ხარისხი; თუ წინათ მუშებს ხოცეული თვეში მხოლოდ 12-ჯერ ეძლეოდათ, ახლა 20-ჯერ ეძლევათ. ამჟამად არსებული სასადილო მომსახურებას უწევს 1.600 მუშას.

ღუმელებზე მომუშავეთათვის, როგორც მძიმე სამუშაოს შემსრულებელთათვის მოწყობს სპეციალური მომარაგება. მათთვის გახსნილია ერთი სასადილო, აქ ღუმელებზე მომუშავეებს ხორცეული ყოველდღე ეძლევათ, დღეს — ჩაი, ყარაჩი და ორიქვე მოწყობილია ბუფეტი მტკნარი ფასიან საკონდიტრო ნაწარმით.

ასევანიშნავია ის გარემოება, რომ მომარაგების კომისარიატის მიერ მუშათა მომარაგებისთვის გამოყოფილი ზოგიერთი ფონდი საკმაო არ არის ქარხანაში და მშენებლობაზე სულ 2.500 მუშაა, 2.218 ოჯახის წევრი მომატებით; გამოყოფილი ფონდი კი მეტად მცირეა, მაგალითად, კვარტალში გეგმით გათვალისწინებულია: ფეხსაცმელები 200 მანეკალოში 1.700 მან., ფართალი 3 მანეთის, რაც სრულიად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

საჭიროა კოოპერაციის მუშაობა მშენებლობისა და ქარხნის პარტორგანიზაციამ კიდევ მეტად გააძლიეროს ყურადღება მუშათა მომარაგების გაუმჯობესებისათვის, ლაკუნებულ უნდა იქნას ყოველგვარი ვალიანება. პროკურატურის ორგანებმა სასტიკ პასუხისგებაში მიიზიდონ აქამდე ხელშეუხებელი პირები, რომლებიც მითვისებენ ფერრო-მარგანეცის ქარხნისა და მშენებლობის მუშა-კოოპერაციის ქონებას.

ვ. გოგიაშვილი.

ორგანიზებულად მოვაწყოთ პირუტყვის გარეკვა საზაფხულო საძოვრებზე

575.000 ცხვარი მიდის იალაღებზე

საგაზაფხულო იალაღებზე ცხვრების გარეკის ორგანიზებულად ჩატარება ნამატის შენარჩუნების ერთერთ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს, ეს კარგად აქვთ შეგნებული სიღნაღის რაიონის პარტიულ, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანიზაციებს, რომლებიც გაცხოველებით მუშაობენ იმისათვის, რომ ყოველმხრივ მომზადებულად შეხვდენ პირუტყვის იალაღებზე გარეკვას.

საძოვრებით სარგებლობაში გაუპირობნება აღმოფხვრილი იქნება

საძოვრების მთელი ფართობი რაიმიწაწყლის მიერ დანომრილი და დაყოფილია ცალკე ნაკვეთებათ. სრულ მასზე მომაგრება ჩატარებულია არა მარტო ფართობის სივრცის, არამედ იმის მიხედვითაც თუ როგორია საძოვრების ამა თუ იმ ნაკვეთის ხარისხი. მაგალითად: მთელი საძოვრები ამჟამად ისეა გაწყობილებული, რომ პირველი კატეგორიის საძოვრების თითეულ ჰექტარზე მოდის საშუალოდ 8 ცხვარი, მეორე კატეგორიისაზე 6, ხოლო მესამე კატეგორიის საძოვრებზე 4 ცხვარი.

ამჟამად რაიონის ყველა საბჭოთა მეურნეობებმა, კოლმეურნეობებმა, და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეობებმა იციან, თუ სად უნდა გარეკონ მათ ცხვარი. მაგალითად: ელდარის საბჭოთა მეურნეობა მიმაგრებულია ჭიაღელგორის და ორთულის საზაფხულო იალაღებზე. რაიაღმასკომის საბჭოთა მეურნეობას მიეცა საძოვრები ნაკვეთი № 9, 26 და 29 განძისწევში (ბოგდანოვკის რაიონი) 4.381 ჰექტარის რაოდენობით, ხოლო რაიონში არსებული საკოლმეურნეო ფერმები იგზავნებიან ნადირობულაყის (ბოგდანოვკის რაიონი) და ფოკისხევის იალაღებზე და სხვ.

მთებში ცხვრების გარეკვასთან დაკავშირებით შეკეთებულია გზები შირაქიდან ბადიაურამდე (ამ გზით მოხდება ცხვრების გარეკვა); გამოყოფილია აგრეთვე დასასვენებელი პუნქტები წითელწყაროში 60 ჰექტარის რაოდენობით, სოფ. უზუნდარაში მირზაანის კალოებთან 200 ჰექტარისა და სოფ. ზემო-ნუკრიანში 40 ჰექტარის რაოდენობით. შედგენილია მთებში წასვლისათვის საგზაო გეგმები, მარშრუტები და ბარეკობს აღმოსავლეთ საქართველოში და 280 ათასი ჰექტარი დასავლეთ საქართველოში. მთელ ამ ფართობიდან 150 ათასი ჰექტარი საძოვარი (მთა-თუშეთში, დუშეთის, ზემო-სვანეთის, ქვემო სვანეთის, ონის და სხვ., რაიონებში) უგზობის გამო გამოუყენებელი რჩებოდა. მიმდინარე წლიდან დაიწყება ამ მიტოვებული საძოვრების თანდათანობით **ათვისება.** ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობას გამოყოფილი აქვს ასეთი საძოვრები მთა-თუშეთში და დავალებული აქვს ამ საძოვრებზე მისასვლელი გზის გაყვანა. ელდარის მეურნეობა მთა-თუშეთში მიმდინარე წლიდანვე გაგზავნის თავის ცხვრის ფარის ნაწილს.

—:—

საგაზაფხულო საძოვრებისაკენ ცხვარი მაისის დამდეგს დაიძრება.

